Übung 14. Zu welcher Person passt der Text?
Sortieren Sie.

1. … არის ბრაზილიიდან. ის ცხოვრობს გერმანიაში, კიოლნში. მან იცის პორტუგალიური და გერმანული ენები.
2. … წარმოშობით არის იტალიიდან. ამჟამად ის ცხოვრობს შვეიცარიაში, ციურიხში. ის ლაპარაკობს იტალიურად და ფრანგულად.
3. … არის ავსტრიიდან, ვენიდან. ამჟამად ცხოვრობს საქართველოში. ის საუბრობს გერმანულ და ინგლისურ ენებზე. სწავლობს ქართულს.
4. … არის ავსტრალიიდან, მელბურნიდან. ის საუბრობს ინგლისურ ენაზე. ამჟამად ის სწავლობს ესპანურს.

1. _____ 2. _____ 3. _____ 4. _____

Übung 15. Land, Stadt, Sprache. Was kommt im Text vor?
Ergänzen Sie die Tabelle.

ქვეყანა	ქალაქი	ენა

Übung 16. Welches Wort passt in die Lücke?
Setzen Sie passende Wörter ein.

1. ალესია კონტი არის _____ (პორტუგალიიდან, იტალიიდან). ამჟამად ის ცხოვრობს _____ (ავსტრიაში, შვეიცარიაში). ის ლაპარაკობს იტალიურად და ფრანგულად.
2. იან ვალდერი არის _____ (კიოლნიდან, ვენიდან). ამჟამად ცხოვრობს _____ (საქართველოში, ავსტრიაში). ის საუბრობს გერმანულ ენაზე და სწავლობს _____ (ესპანურს, ქართულს).
3. ოლივია მილერი არის _____ (ავსტრალიიდან, ბრაზილიიდან). ის საუბრობს _____ (ინგლისურ, ესპანურ) ენაზე.
4. გაბრიელ სანტოსი არის ბრაზილიიდან. ის ცხოვრობს _____ (შვეიცარიაში, გერმანიაში). მან იცის _____ (პორტუგალიური და გერმანული; ინგლისური და ფრანგული) ენები.

Text 5. Georgisch lernen

მანანა ქართული ენის მასწავლებელია. ყოველ ხუთშაბათს, უცხოელები ერთმანეთს ხვდებიან მის ბინაში. მანანა მათ ასწავლის ქართულ ენას. მას დღეს გაკვეთილი აქვს. ჯგუფში სამი მოსწავლეა.

პიერი ფრანგია. ის სტუდენტია და სწავლობს სორბონის უნივერსიტეტში. ის ამჟამად გაცვლითი პროგრამით იმყოფება თბილისში.

მორიცი გერმანელია. ის ინჟინერია და ამჟამად საქართველოში მუშაობს. მორიცი ორი წელი დარჩება ქვეყანაში. მასაც სურს ქართული ენის შესწავლა.

ლუიჯი იტალიელია. ის მზარეულია. მას მოსწონს ქართული სამზარეულო. საქართველოში სწავლობს ქართული სამზარეულოს ხელოვნებას.

Übung 19. Verstehen Sie den Text?

Dann beantworten Sie folgende Fragen.

1. როდის ხვდებიან უცხოელები ერთმანეთს?

2. რამდენი მოსწავლე ჰყავს მანანას?

3. სადაურია პიერი? რას აკეთებს ის საქართველოში?

4. რამდენი წელი დარჩება მორიცი საქართველოში?

5. რა პროფესიის არის ლუიჯი?

6. რას სწავლობს ლუიჯი საქართველოში?

Text 7. Meine Familie

მე ვარ კლაუდია. ჩემი ოჯახი შედგება ოთხი წევრისგან. მე და ჩემს მეუღლეს გვყავს ორი შვილი, ხუთი წლის ქალიშვილი და სამი წლის ვაჟიშვილი, ასევე ცხოველები: ერთი კატა და ერთი ძაღლი.

ჩვენ ვცხოვრობთ პატარა ქალაქში. გვაქვს დიდი სახლი ბაღით.

მე ამჟამად დიასახლისი ვარ, ჩემი მეუღლე, მაქსი კი ბიოლოგიის მასწავლებელი. ის ასწავლის სკოლაში, რომელიც მდებარეობს სახლიდან ხუთ კილომეტრში.

ჩვენი ოჯახი კვირაობით სეირნობს ახლომდებარე ტყეში. კარგ ამინდში მივდივართ ტბაზე ან მდინარეზე. ბებია-ბაბუები არ ცხოვრობენ შორს. ისინი ხშირად ატარებენ დროს ბავშვებთან ერთად.

Übung 30. Richtig oder Falsch?

Ordnen Sie.

		richtig	falsch
1.	კლაუდიას და მაქსს ჰყავთ ოთხი შვილი.		
2.	ოჯახს აქვს დიდი სახლი ბაღით.		
3.	კლაუდიას და მაქსის ოჯახი ცხოვრობს სოფელში.		
4.	სკოლა მდებარეობს სახლიდან შვიდ კილომეტრში.		
5.	მაქსი არის ბიოლოგიის მასწავლებელი.		
6.	ბებია-ბაბუა არ ცხოვრობს შორს.		